**№ 6.** 10 იანვარი, სამშაბათი. 1866—1884 10 იანვარი, სამშაბათი. **№ 6.**

რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეკი.

მიიღება ხელის-მოწერა
ამ 1884 წლისათვის გაზეთს
## დროებაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)

**თბილისში,** «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
**თელავში,** ვანო როსტომაშვილთან.
**ქუთაისში,** ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.
**ბათუმში,** წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
**გორში,** საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | 9 მან. | 6 თვით | 5 მან. |
| 11 თვით | 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | 8 მან. | 4 თვით | 4 მან. |
| 9 თვით | 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | 3 მან. |
| 8 თვით | 7 მან. | 2 თვით | 2 მან. |
| 7 თვით | 6 მან. | 1 თვით | 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.
ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

## დიალექტიკა და სიმართლე.

თბილისი, 10 იანვარს.

ჩვენ ვამბობდით ჩვენს წერილში: «სკოლების დაფუძნების საქმესაც დაბრკოლება თავიდგან ასცილდებოდა, თუ რომ გამგეობას გამოეჩინა მომეტებული გულის-ყურის დამყარება საქმეზე, მომეტებული გამჭრიახობა და მომეტებული სიმარჯვე». ჩვენ ამ სიტყვების განმარტება მჭევრ-მეტყველური ფაქტებით შეგვეძლო, მაგრამ, უნდა გავტყდეთ, რომ ქართველურმა თავაზიანობამ და ხათრიჯამობამ ხელი აგვაღებინა ამ განმარტებაზედ. მიმომხილველს, რასაკვირველია, კარგად უნდა სცოდნოდა მიზეზი ჩვენის თავდაკავებისა; მაგრამ, მიუხედველად ამისა, მან ცელქური ოხუნჯობის საგნად გახადა ეს ადგილი ჩვენის წერილისა და ვინ არ წარმოაყენა სცენაზედ: პარიკმახერი სულხანიც, დუბლიეც, ბოგია დალაქი, პრუსია, საფრანგეთი და სხვა ბევრი რამ. ჩვენ არც ახლა შევალთ დაწვრილებითს განვითარებაში, რადგანაც ერთი ფაქტის დასახელებით შეგვეძლიან სულ მთლად გავაქარწყლოთ ეს დიალექტური ოხუნჯობა. ბ. წინამძღვრიშვილს არა ჰქონდა ხელში არც დამტკიცებული მთავრობის მხრივ წესდებულება, რომელშიაც დედა-ენაზედ სწავლება მოხსენებული ყოფილიყო, და არც რამე გამგეობა ჰყავდა, მაგრამ თავის სამეურნეო სკოლისათვის გამოიტანა უფლება ყოველი საგნის დედა-ენაზედ სწავლებისა მთელი ექვსი წლის განმავლობაში. წერა-კითხვის მართველობამ კი, თუმცა მას წესდებულებაში პირ-და-პირ უწერია სწავლა დედა-ენაზედ, მთავრობისაგან ალიარებული, დირექტორს და მზრუნველს ვერ დაამტკიცებინა პროგრამა, რომლის ძალითაც სწავლება უნდა ყოფილიყო ქართულს ენაზედ ოთხი წლის განმავლობაში. რად მოხდა ეს, თუ არა იმის გამო, რომ წინამძღვრიშვილმა მომეტებული გულის-ყურის დამყარება იხმარა საქმეზედ, მომეტებული სიმარჯვე და მომეტებული გამჭრიახობა აღმოაჩინა, ვიდრე «წერა-კითხვის საზოგადოების» გამგეობამ.

ჩვენ მეტს არაფერს ვიტყვით ამ საგანზედ, რადგანაც ეს ფაქტიც ძირიან-ფესვიანად ანგრევს იმ ოხუნჯობის კოშკსა, რომელიც მიმომხილველს ჰაერში აუშენებია.

მიმომხილველი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ წინააღმდეგობა აღმოაჩინოს ჩვენს აზრებს შუა და ამ მიზნით იგი უპირდაპირებს ჩვენგან წარმოთქმულს ორს აზრსა, სახელდობ არეულად იმასა, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის ბლომი ნაწილი ახლა ინტელიგენციას ეკუთვნის-თქო და მეორედ იმასა, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა გულ-გრილად უყურებს, მეტადრე პროვინციებში, განათლების საქმესაო. ჩვენ გაკვირვებულნი ვართ, რომ მიმომხილველი წინააღმდეგობას ხედავს ამ ორს აზრს შუა. ვანა მან არ იცის, რომ არა ყოველი ნასწავლი პირი თანაუგრძნობს განათლებასა? ვანა ყოველს ნაბიჯზედ არა ვხედავთ, რომ მაღალთა წოდებათა პირნი მხოლოდ მაშინ არიან გულმხურვალენი და გულწრფელნი მსურველნი ხალხის განათლებისა, როდესაც ფართო და ღრმა სწავლას მათში ძირიან-ფესვიანად ამოუფხვრია წოდებრივი ინსტინქტები და აღუვსია ისინი დემოკრატიული კაცთ-მოყვარებითა? ვანა რუსის მწერალი დალი განათლებული კაცი არ იყო, ხოლო რას ამბობდა? უმჯობესია გლეხობა უმეცრებაში დავტოვოთ და წიგნის ცოდნა თავიდამ ავაშოროთო. ვანა კატკოვი ნასწავლი და ნიჭიერი კაცი არ არის; მაგრამ, თუ იმის ნებაზედ მიაგდეთ საქმე, არამც თუ ერთს დღეს დაჰკეტავს ყოველს სკოლას, რუსეთის ნასწავლს დასსაც სულ ერთიანად კამჩატკაში ამოუყოფს თავსა? ჩვენშიაც მოიპოვებიან იმისთანა ნასწავლნი პირნი, რომელნიც ან დალის და კატკოვის თვალით უყურებენ ხალხის განათლებასა და ან გულცივად ეპყრობიან მას. მაგრამ ამას-

*) იხ. «დროება» № 5.

---

## «დროების» ფელეტონი, 8 იანვარი.

### კახეთის სამღვდელოების კრება*)

უმაღლესის სამღვდელოებისაგან დანიშნულს ვადაზედ — 19 ნოემბერს, თელავის სიღნაღის და თიანეთის მაზრებიდამ სამღვდელოთაგან ამორჩეული დეპუტატები გამოცხადდნენ თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამ დღესვე (19 ნოემბერს), შემდეგ სამადლობელის პარაკლისისა, დეპუტატები შეუდგნენ თავსმჯდომარისა და საქმის მწარმოებელის ამორჩევას. თუმცა ერთ-ერთ ამ თანამდებობაზედ თვალი ეჭირა კარგად დაგეშილს, მაგრამ სამღვდელოების მუხანათსა მ. ხ., მაინც მღვდლებისაგან შემდგარმა კრებამ, იცოდა რა მისი წარსული და აწინდელი მოქმედება, ყურადღებაც არ ათხოვა და ამოარჩია თვის შორის კენჭის ყრით ერთი საუკეთესო დეპუტატთაგანი მ. პ. თავსმჯდომარედ, ხოლო საქმის მწარმოებლად მ. გ.

სასწავლებელის გამგეობისაგან წარმოდგენილის საგნების სიიდგან რიგ-რიგზედ იწყო კითხვა თავს მჯდომარემ მოსასმენად და განსახილველად სამღვდელოთა კრებისა. აი ეს საგნები:

1) განცხადება თ. ს. სასწავლებელის ახალის შენობისათვის 3600 მანათის მომატებაზე.

სამღვდელოთა კრებამ, როგორც დაულალავმა თანამგრძნობელმა ხსენებულის სასწავლებელისამ, ერთხმად განაცხადა სურვილი და გადასწყვიტა მოთხოვნილის ფულის შეწირვა ახალის შენობისათვის, როგორც ეკლესიებიდამა, ეგრეთვე საკუთარის ჯიბიდგანა; ამას რომ მივუმატოთ 8000 მ., რომელიც შესწირა შენობის სასარგებლოდ წარსულს წლებში სამღვდელოებამ, სრულებით შესდგება 11,600 მან. სამღვდელოთაგან ხსენებულის ფულის შეწირვაზედ ბაასის დროს, სასარგებლოდ სასწავლებელისა, წარმოდგნენ ზოგიერთნი მოსაზრებანი, რომელნიც ერთის მხრით მამხიარულებდენ, ხოლო მეორეს მხრით მაღონებდენ. მეხიარულებდი მასზედ, რომ უწინდებური, მამა-პაპური ქართველური ქველ-მოქმედება, გულუხვობა, და თანაგრძნობა კეთილის საქმეებისადმი კიდევ მოიპოვება ჩვენს ს. წოდებაში მაინც; იამოვნებით აღივსო ჩემი გული რომ შვილების პატრონობის, აღზრდა-განათლების სურვილი სრულებით არ გამქრალა ს. წოდებაში და ამ წმინდა საგნისათვის არასა ზოგავს თავის საწყალის ჯიბიდამ; ბედნიერს მოვლენად ვსთვლიდი სამღვდელოთა ესრეთს მოქმედებასა, რადგან თვალ-საჩინოდ დავრწმუნდი,—სამღვდელოებას კარგად სმენია, რომ მისი მომავალი ბედნიერება, წარჩინება, ზნეობითი ამაღლება თვის . . . , რჯულის და დედა-ენის დაცვა და გაუმჯობესობა და ყოველის ფრით წინ წაწევა, მხოლოდ შვილების წესიერის აღზრდა განათლებით შეიძლება. «ოღონდ ჩვენი შვილების აღზრდა-განათლება წესიერად წავიდეს, კარგს კალაპოტში ჩადგეს ამიერიდამ და რაც საჭირო იყოს სასწავლებლისათვის მოგვთხოვეთ», გაიძახოდა ამ ჟამად სამღვდელოება!

მეორეს მხრივ ვწუხდი, რომ მისგან დაარსებული დაწესებულება ისე ვერ არის მომართული, როგორც მის გულუხვობას შეეფერება და ხელმძღვანელები ჭეშმარიტს ხელმძღვანელობასაც ვერ უწევენ...

2) ახალი სასწავლო ოთახებისათვის საჭირო ნივთების საყიდად 300 მ. შეწირვაზე. ეს საგანი ერთ-ხმად მიიღო კრებამ და შესწირა მოთხოვნილი ფული სასწავლებლის გამგეობისაგან დანიშნულს საგანსა, მღვდლებისაგან შეწირულის წარსულს წლებში დარჩენილის ფულიდგან.

3) ღარიბ მოსწავლეთათვის ავადმყოფობის დროს წამლის ფულზე. სამღვდელოთა კრებამ, დაინახა რა ღარიბ მოსწავლეთა მდგომარეობა, შესწირა სამი თუმანი წამლის ფასად.

4) წინადადება ერთის ქალის მიღებაზე ეპარქიულს სასწავლებელში. კრებამ ამოარჩია ყველაზედ ღარიბის, აწ გარდაცვალებულის, ჩუჩულოვის ქალი ანნა, და მიიღო კახეთის სამღვდელოებისაგან შეწირულის ფულით, ასაზრდელად ეპარქიულს სასწავლებელში—თბილისში.

*) ამ ფელეტონმა, ცოტაოდენ მიზეზების გამო, დაიგვიანა.
რედ.

თან, ჩვენდა სანუგეშოდ, ეს პირები გავლენას და ძალას მოკლებულნი არიან და მათი მისწრაფებანი ანდერძ-აგებულები არის დროთა მიმდინარეობის გამო და ამიტომ მხნე და განათლებულს აგენტებს ადვილად შეუძლიანთ არამც თუ მათი წინააღმდეგობა გააუქმონ, არამედ ხალხის განათლებაშიაც მეტ-ნაკლებობით დაიხმარონ... ნასწავლს თავად-აზნაურობას ის გარემოებაც უშლის ხალხის განათლებას სამსახური გაუწიოს პროვინციებში, რომ მას თავი დანებებული აქვს სოფლებისათვის და მოგროვილია ქალაქებში, რის გამოისათაც ყოველი წერილობითი განკარგულობის წაკითხვაც კი ხშირად ძნელია სოფლებში

როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენი საზოგადოება მომზადებული არის «წერა-კითხვის საზოგადოების» ნაყოფიერად წარმოებისათვის, ჩვენ ამითი სრულიად ის არ უნდა გვეთქვა, რომ ყველა ქართველი გულით და სულით ნატრობს განათლების მოფენასა და მზად არის ყოველივე შემწეობა და დახმარება აღმოუჩინოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ არამც თუ აგენტები იქნებოდენ მომეტებულნი, თვით «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც» მესამე ურმის თვალი იქნებოდა.

ჩვენ ის უნდა გვეთქვა და კიდეც ვთქვით, რომ უმეტესი ნაწილი ქართველი საზოგადოებისა იმდენად გრძნობს ხალხის განათლების საჭიროებასა, რომ თუ ენერგიულის და განათლებულის აგენტის სიტყვის და მოქმედების გავლენის ქვეშ იქნება, უქმი თანაგრძნობა მისი აქტიურს თანაგრძნობად გადიქცევა და პლატონიური სურვილი ნამდვილ დახმარებათა. მაცხოვარის მოვლენის დროს კაცობრიობა მომზადებული იყო ქრისტიანობის მიღებისათვისო, ამბობენ. ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი ქრისტიანობის მიღებას ნატრობდა; არამედ იმასა, რომ დაწინაურებული კაცობრიობა იმდენად წინ იყო წასული გონების განვითარებით, რომ შეეძლო მიეღო უფრო მაღალი და რთული სარწმუნოება, თუ მარჯვე და გულმხურვალე მქადაგებელნი გაჩნდებოდენ ერთა შორის.

მიმომხილველს ჩვენი დაჭერა უნდოდა აზრების წინააღმდეგობაში; ამას კი ვერ ეწია, როგორც მკითხველი ხედავს, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ გაება აზრების წინააღმდეგობაში. იგი აღიარებს ჩვენი საზოგადოების მტკნარას მოუმზადებლობას, უხეირობას, გულგრილობას ამისთანა «საზოგადოების» წარმოებისათვის, როგორიც არის წერა-კითხვის საზოგადოება; და რას გვირჩევს წამლადა? არა იმას, რომ განათლებით დაწინაურებულმა ქართველმა დასმა იკისროს პროპაგანდით, ცოცხალი სიტყვის მოქმედებით და ქადაგებით გაღვიძება... საზოგადოებისა, არამედ თავის მინებებასა. «თვითონ... ცალ-ცალკე კუთხისანი იმოდენად უნდა მოიწიფნენ, იმოდენად მოჯობინდენ სულითა და ხორცითა, რომ თვითონ თავისი საკუთარის ძალ-ღონითა განაგებდენ თავიანთ საქმეს განათლებისასა» ამბობს მიმომხილველი. ქარგი და პატიოსანი! ჩვენც სწორედ ამის მონატრულნი ვართ; მაგრამ რა გზით უნდა მივახწიოთ ამ ნეტარი მდგომარეობამდის? ჩვენ აგენტურების დაარსებას მარჯვე ღონისძიებათ ვსთვლით ამისათვის. მიმომხილველი? იგი ჯერედ უარჰყოფს აგენტურის სარგებლობას, მერმე თითქო გვეთანხმება; მაგრამ იმ დამატებით, რომ აგენტურა სხვა გვარად უნდა გაიმართოსო. რა გვარად და როგორ? ამაზედ პატივცემულს ავტორს კრინტიც არ დაუძრავს. ვეებერთელა წერილში რას არ შეეხო, სად არ ატარა მკითხველი და თავ-საგანზედ კი ერთი სიტყვაც არ დასძრა. თქვენ გგონიათ თვით-მმართველობის პრინციპი მაინც გადაჭრით აღიარა? სრულიადაც არა! მან ზემო მოყვანილი სტრიქონები აი რა დამატებით გაათავა: «თუ განათლების საქმე საზოგადოდ მართლა და თვითეულ კუთხისათვის ცალკე განსაგებელი საგანია». გადაჭრით არც აგენტურა და არც თვით-მმართველობა! ასე არა სჯობიან! სხვის გადაჭრილი აზრები ჰკილო და შენი კი გადაჭრით არაფერი წარმოსთქვა და კრიტიკულს წერილს რავდენიმე მარჯვე გასავალი დაატანო! დიალექტიკისათვის, პოლემიკისათვის ამ გვარი ტაქტიკა იქნება სასარგებლო იყოს; მაგრამ საქმისათვის რომ გამოუსადეგარია, ეს აშკარაა ყველასათვის.

ჩვენ არ მივბაძავთ მიმომხილველის ტაქტიკასა და ჩვენს აზრს გადაჭრით, განვითარებით წარმოვსთქვამთ. ის მოთხოვნილებანი, რომელნიც ვალდებულია დააკმაყოფილოს წერა-კითხვის საზოგადოებამ, ორი გვარნი არიან: საზოგადობრივნ, რომელნიც შეეხებიან მთელს ჩვენს ქვეყანას, ყოველს მის კუთხესა,—და კერძოობითი, ანუ ადგილობრივნი, რომელნიც თვითეულ მაზრის საჭიროებას შეადგენენ. ცენტრალური გამგეობა უნდა განაგებდეს საზოგადო საქმეებსა, აკმაყოფილებდეს საერთო მოთხოვნილებათა, აგენტ[illegible]მა კი უნდა იზრუნონ ადგილობრივ საქმეებზედ, ადგილობრივი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონ. აგენტურა უნდა დაარსდეს ყოველს საქართველოს კუთხეში, თვითეულს მაზრაში. იგი უნდა შესდგებოდეს სამი პირისაგან. წევრები დანიშნულ იქმნებიან თვით-მმართველობისაგან იმ მაზრებში, სადაც «წერა-კითხვის საზოგადოების წევრებად ითვლება ნაკლები ორმოც-დაათი კაცისა; რომელს მაზრაშიაც რიცხვი წევრთა აღის ამ რაოდენობამდის, იქ ადგილობრივთა წევრთა კრება ირჩევს აგენტურის წევრებსა, რომელნიც ამ თანამდებობაში დამტკიცებული იქმნებიან გამგეობისაგან. აგენტურა აღირჩევა ოთხი წლის ვადით, რადგანაც ესევე ვადა არის დანიშნული გამგეობას განახლებისათვის. აგენტურების უფლებას და ვალდებულებას უნდა შეადგენდენ: ფულების კრება წევრთაგან, ახალი წევრების შოვნა, რომელთაც აგენტურა იღებს კანდიდატებად და საზოგადო კრება თბილისისა აღიარებს თავის წევრებად, თანახმად წესდებულებისა, საკვირაო სკოლების და სახალხო საუბრების გამართვა, წაქეზება სოფლებისა დასადგენად განჩინებისა სკოლების გახსნის თაობაზედ, თვალ-ყურის დევნა და ხელმძღვანელობა სკოლებისა, რომელნიც დაფუძნებულნი იქნებიან «წერა-კითხვის საზოგადოების სახელით, სხვა სასოფლო სკოლების საჭიროების შეტყობა, მეტადრე ქართული ენისა, და დაკმაყოფილება; სპექტაკლების, კონცერტების, სალიტერატურო სალამოების გამართვა სასარგებლოდ «საზოგადოებისა», სახალხო ბიბლიოთეკების დაარსება სოფლებში და

---

5) თბილისის ს. სემინარიის სტუდენტის თუთბერიძისაგან ადგილის თხოვნა თ. ს. სასწავლებელში. ამ საგანმა ხანგრძლივი ბაასი აღძრა სამღვდელოთა კრებისა და სასწავლებელის ზედამხედველის შორის და გათავდა არა სასიამოვნოდ უკანასკნელისა. აი საქმე როგორ არის: იმ წლის სექტემბრის თვიდამ აქამომდე, თუთბერიძეს ორი თხოვნა გამოუგზავნია სასწავლებლის გამგეობის სახელობაზედ, რომელსაც მასწავლებლის ადგილსა სთხოვს სასწავლებელში, რომლისთვისაც, როგორც გამოჩნდა კრებაზედ, პასუხი არ მიუცია ხსენებულს გამგეობას. ბ. თუთბერიძეს, გაეგო რა, რომ 19 ნოემბერს დანიშნულია თ. ს. სასწავლებელში სამღვდელოების კრება, გამოეგზავნა ტელეგრამა კრებისათვის, რომელსაც სთხოვდა მასწავლებლობის ადგილსა. ეს ტელეგრამა რაღაც მანქანებით ჩაეგდო ხელში ბლ. ხ—ს, მარჯვენა ხელს ზედამხედველისას, გადაეცა მისთვის და ამ უკანასკნელს განძრახ, არ გამოეჩინა კრებისათვის. ერთმა პირმა შეატყობინა კრებას, რომ დღეს მის სახელობაზედ ტელეგრამა იყო და ზედამხედველმა დამალაო. კრებამ მოსთხოვა ბ. მ—ს შემდეგი პასუხი: «რატომ თუთბერიძის თხოვნას ყურადღება არ მიაქცია და არ მისცა მასწავლებლობის ადგილი მოსამზადებელს კლასში, როდესაც მასწავლებელი არა ჰყვანდა და როდესაც 500 მ. ჯამაგირს სამღვდელოება თავის ჯიბიდამ იხდის ყოველ წლივ?» ამის პასუხად ბ. ზედამხედველმა გამოუცხადა კრებას: «თუთბერიძეს პასუხი იმიტომ არ მივეცი, რომ იმან რუსული ენის მასწავლებლობა ითხოვა და ქართველს რუსულის ენის სწავლების ნება არა აქვსო სინოდის ცირკულიარის ძალითაო». ამ ბაასის გასარკვევლად და გასაგებად კრებამ მოსთხოვა ზედამხედველს თუთბერიძის თხოვნები; მაგრამ ზედამხედველს ეს არ ესიამოვნა და გაშორდა კრებას შემდეგის ფიქრით: ბრძოლას ისევ პატიოსნური სიჩუმე სჯობიაო. გავიდა რამდენიმე დრო კრებისაგან ლოდინში, რომლისთვისაც ზედამხედველს თუთბერიძის თხოვნა უნდა წარმოედგინა, მაგრამ ბზობის ყვავილივით დაიკარგა იგი და ეგონა დავიწყებას მისცემს კრება ამ საქმესაო. კრებამ მაინც გაგზავნა დეპუტაცია და მოსთხოვა თუთბერიძის თხოვნები ზედამხედველს. ილაჯ-გაწყვეტილმა ზედამხედველმა შემოიტანა მოწიწებით თუთბერიძის მხოლოდ ერთი თხოვნა და რა ამოჩნდა? ამოჩნდა ის რომ თუთბერიძე რუსულს ენას-კი არა თხოულობდა, როგორც ბ. ზედამხედველმა «აცნობა» კრებას, არამედ მასწავლებლობის ადგილსა, თუ დაცლილი იქნებოდა. შემდეგ ამისა, რომ უფრო კარგად დარწმუნდეს კრება ზედამხედველის პატიოსნებაში, მოსთხოვეს მას ის ტელეგრამა, რომელიც გამოგზავნილი იყო თუთბერიძისაგან კრების სახელობაზედ. ამაზედ ზედამხედველმა, რადგან დამალვა შეუძლებელიღა იყო, კრებას უპასუხა: «ტელეგრამა ჩემს სახელობაზედ იყო გამოგზავნილი და მე ნება მაქვს,—თუნდა გადმოგცეთ, თუნდა არაო»; მაგრამ რომ ველარ შეუძლო ზედამხედველმა კრების მხრით პატიოსნურს და კანონიერს მოთხოვნილებასა და ძალა-დატანებასა, ილაჯ-გაწყვეტილმა, ტელეგრამა გადასცა კრებასა და რა ამოჩნდა შიგ? ბ. თუთბერიძე სთხოვს სამღვდ. კრებასა: «თხოვნები გამოვგზავნე სასწავლებლის გამგეობაში და პასუხი ვერა მივიღე-რა, ამისთვის იძულებულ შევიქმენ თქვენთვის მომემართნა და მეთხოვნა მასწავლებლობის ადგილიო». უნდა გენახათ განცვიფრება და შეწუხება სამღვდელოებისა... ყველანი ამბობდენ: «რა ადგილი უჭირავს მაგ დალოცვილს, როგორ კაცად ვსთვლიდით და საქმით რა აღმოჩნდაო!..»

5) ზედამხედველის განცხადება კრებასთან და რჩევა, რომ სამღვდელოებამ შეისყიდოს სასწავლებელის ჩრდილოეთის მხრივ მდებარე ცარიელი ადგილი, აღმოსავლეთის მხრივ ოთახი თვისის ეზოთი, რომელიც ეკუთვნის მას—ზედამხედველს. ზედამხედველის მ—ს ცხოვრებაში მხოლოდ ეს ერთი დრო მახსოვს, როდესაც მან გამოიჩინა მხოლოდ მჭევრ-მეტყველობა, ორატორული ნიჭი და ჭკუის გამჭრიახობა. ბ. მ—მა შემდეგის სიტყვით მიმართა სამღვდელოების კრებასა: «რადგან განზრახვა თქვენი სასწავლებელის სახლების შესახებ, აღსრულებაში მოგყავთ და თქვენს ქველ-მოქმედებას არა აქვს საზღვარი, იქნება მოქმედება თქვენი უმეტეს საქები, თუ აღმოსავლეთის მხრივ სასწავლებელისა მდებარე სახლსა და ჩრდილოეთის მხრივ მდებარეს ცარიელ ადგილსა შეისყიდით ჩემგან თქვენის სასწავლებელის სასარგებლოდ. ამასთანავე უკეთუ კრება შეისყიდის ნათქვამ სახლსა და ადგილ-

ქალაქებში, გაყიდვა წიგნებისა, რომელთაც «საზოგადოება» გამოსცემს, ან საჭიროდ დაინახავს სხვის გამოცემული ხალხში გავრცელოს და ყოველ-გვარი მოქმედება, რაც კი შეეწევა და დაეხმარება საზოგადოების აზრის შესრულებასა. წლიურს შესავალს ორ ნაწილად ჰყოფს ყოველი აგენტურა: ერთს ნაწილს მოახმარებს თვითონ ადგილობრივთა მოთხოვნილებათა და მეორე ნაწილს უგზავნის ცენტრალურს გამგეობას საერთო საჭირებათა ვაძლოლისათვის და ქართული ელემენტის გაძლიერებისათვის იმისთანა მაზრებში, სადაც იგი, დროთა ვითარების გამო, შესუსტებულა, როგორც, მაგალითად, ახალციხის მაზრაში და საინგილოში. ყოველს წელიწადს, საზოგადო კრების წინედ, ყოველი აგენტურა უგზავნის გამგეობას გინვითარებულს ანგარიშსა თავის წლიურს მოქმედებაზედ და შესავალ-გასავალზედ. ერთი სიტყვით აგენტურა უნდა იქმნას ორგანო ერთის მხრით ადგილობრივი საზოგადოებისა, მეორე მრით ცენტრალური გამგეობისა. ჩვენი განათლების საქმე პოლიტიკა არ არის, რომ სხვა-და-სხვა მიმართულებამ იჩინოს აქ თავი და უთანხმოება მოახდინოს ხსენებულ ინსტანციების შორის. სრული თანხმობის დამყარება ამ წმინდა საქმის წარმოებაში ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს.

თუ მიმომხილველი უკეთესს მოსაზრებას წარმოადგენს შესახებ აგენტურების დაფუძნებისა და მომართვისა, ჩვენ დიდის კმაყოფილებით უარს ვყოფთ ჩვენს პლანს, და მოსარჩლედ აღმოვუჩნდებით მის. მოსაზრებასა მაგრამ როგორმა პლანმაც უნდა გაიმარჯვოს ამ შემთხვევაში, აგენტურების მოქმედება მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როდესაც თვით ცენტრალური გამგეობა გამოიჩენს «მომეტებულს ყურადღების დამყარებას საქმეზედ, მომატებულს მხნეობას და მომეტებულს სიმარჯვეს».

## შინაური ქრონიკა

~~ გვიხაროდა, რაკი ბათუმამდე რკინი-გზა გავა, ამ ქალაქთან დაუბრკოლებლივ მოსვლა-მისვლა გვექნება და ფოთში ზღვის-პირად ამინდის ლოდინი აგვცდებაო, მაგრამ რკინი-გზამაც ვერა გვიშველა-რა და ცისისმირთან ხამოწოლილი ზვავი წელიწადში რამდენჯერმე წინ-გადეღობება ხოლმე რკინი-გზის მატარებლს. ეხლაც ეს ორი დღე არის რაც ბათუმამდე მატარებელი აღარ მიდის; გუშინ, გვირას, მხოლოდ სამტრედიიდამ წამოსულა და გუშინის-წინ გი საღამოს მატარებელი სრულებით არ მოსულა თბილისში. ასე არევ-დარევას მატარებლებისას ხელს უწყობს, რასაკვირველია, თოვლიც, რომელიც თითქმის ორი დღეა რაც განუწყვეტლივ მოდის მთელს ჩვენს მხარეს.

~~ ამ წლის 20 იანვარს პეტერბურგში დანიშნულია მეხუთე კრება სადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა, რომელზედაც განხილული იქმნებიან სხვა-და-სხვა ბანკების შესახები საგნები, სხვათა შორის, ის საგანიც, თუ რა პასუხის-გება უნდა იკისრონ დამფასებელი კომისიისა და გამგეობის წევრთ, როდესაც მათის დაუდევრობის გამო მამულები ბანკსა რჩება. თბილისის სადგილ-მამულო ბანკიდამ ამ კრებაზე დასასწრებად მიდის ამ დღეებში თავმჯდომარე გამგეობისა თ. ი. გ. ჭავჭავაძე.

~~ 6 იანვარს, «კავკაზის» სიტყვით, კინაღამ ერთი საშინელი უბედურება მოხდა ჩვენს საზაფხულო თეატრში: «არდგენდენ ოპერას «აფრიკანკა». თეატრი ხალხით სავსე იყო. მეათე საათზედ, როცა ხალხმა თავ-თავისი ადგილი დაიჭირა, სცენაზედ საშინელი ხმაურობა მოისმა... ხალხს ეგონა ცეცხლი გაჩნდაო, ყველანი წამოცვივდნენ და გასავალ კარებებს მიმართეს... ამ დროს აისადა ფარდა, სცენაზედ გამოვიდნენ ანტრეპრენიორი, აქტიორები და აცნობეს პუბლიკას, რომ დეკორაციის გასაყარი ჩამოვარდა და იმის ხმაურობა იყოვო. ხალხი დაწყნარდა და წარმოდგენა განაგრძეს, მაგრამ თეატრში ცეცხლის გაჩენის ამბავმა ქალაქი მოირბინა და ცეცხლის გასაქრობი კამანდაც მოიჭრა. აღმოჩნდა რომ ეს არეულობა იმისაგან მოხდა, რომ ერთი გაზის ბუდე გამსკდარიყო და გაზს ცეცხლი მოსდებოდა, მაგრამ მალე გაექრო».

~~ ამას წინად იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი, რომ კავკავში მასწავლებლებს საზოგადოება შეუდგენიათ, რომელიც თვეში ორჯერ-სამჯერ თავს იყრის და ჩაის სმის დროს სხვა-და-სხვა პედაგოგიურ საგნებზედა სჯის, პედაგოგიურ თხზულებებსა ჰკითხულობს. «თერგის უწყებების» სიტყვით პოლიციას მოუთხოვნია, რომ ამ კრებებზედ პოლიციის წარმომადგენელიც დაესწროს ხოლმე, მაგრამ მასწავლებლებს ეს არ უქნიათ, ამის თაობაზე თბილისში ქაღალდი გაუგზავნიათ და ამ ქაღალდზე პასუხის მიღებამდე დაშლილან.

## რუსეთი

— ზოგიერთა ერობათა კრებებს წარუდგენიათ მმართებლობისათვის თხოვნა შესახებ საპენსიო კასის დაარსებისა შინაური საქმეთა სამინისტროსთან ერობებში მოსამსახურე პირთათვის; თხოვნის აზრით, თითოეულო ერობას ხაკუთარის სურვილისამებრ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კასაში.

— რადგანაც ამ მოკლე ხანში შემოღებულ იქმნება ახალი სატყეო კანონი მთელს იმპერიაში ტყეების დასაცველად განადგურებისაგან, ამისათვის სახელმწიფო ქონებათა მინისტრს საჭიროდ უცვნია ტყის მცველების რიცხვის გამრავლება მთელს იმპერიაში, გარდა ფინლიანდიისა და პოლშისა; სახელმწიფო რჩევის ამ საქმის სისრულეში მოყვანისათვის დაუნიშნავს სულსად 1,934,235 მანეთი.

— 1882 წელს გამოიცა შესახებ ებრაელთა დროებითი წესდებულება, რომლითაც მათ ხელ-ახლავ აღეკრძალათ დაბისა და ქალაქ გარედ დასახლება, ნასყიდობის და გირავნობის ქაღალდების შედგენა მათ სახელობაზე; ამასთანავე აღეკრძალათ დამოწმება იჯარის პირობებისა იმ მამულებზე, რომლებიც იმყოფებიან ქალაქ გარედ; ამ წესდებულების შესახებ ზოგიერთა მემამულეთა და უძრავ საკუთრებათა პატრონებს, რომლებიც სცხოვრებენ იმ ადგილებში, სადაც ებრაელნიც სახლობენ, წარუდგენიათ თხოვნა, რომელშიაც ამტკიცებენ ხსენებული წესდებულების მავნე გავლენას თვით რუსებზედაც, რადგანაც ფასები მამულებზე და უძრავ ქონებაზე ძლიერ დაეცნენ ებრაელთა შემავიწროებელ კანონთა გამოცემის შემდეგ; გარდა ამისა თხოულობენ, რომ დაუბრუნონ უფლება მამულების იჯარით გაცემისა ებრაელებზე; სენატმა სცნო უვარგისობა წესდებულებისა და დაადგინა იშუამდგომლოს მისი გაუქმების შესახებ.

სა, მე დიდის სიხარულით მივცემ სამღვდელოებას ორს-სამს წელს ვადას ფულის შემოტანისას». ეს ბაასი ზედა-მხედველისა გულ-გრილად მიიღო კრებამ და უპასუხა ორატორსა: ისიც საქები იქნება ამ ორს და სამს წელში სახლების წესიერად აშენება მოვახერხოთ ჩვენის სიღარიბისა გამოო. კრებამ არ იცოდა თუ ზედა-მხედველი ასყიდებდა სამღვდელოებას იმ ადგილსა, რომელიც ქართველთ მეფეების დროიდამ აქამომდე შეადგენდა სასწავლებელის კუთვნილებასა; იმ ადგილსა, სადაც ხეხილები ჩანერგილია სასწავლებლის მასწავლებელთაგან; იმ ადგილსა, რომელიც ქალაქის ადგილების და სახლების დამფასებელ კომისიისაგან დარჩენილია სასწავლებელის სასარგებლოდ. ამისთანა საუბარი ზედა-მხედველისა ველარ მოითმინა იქ მყოფმა მღ. ი. შ., და სთქვა შემდეგი: «პატიოსანნო მამანო! მე მაკვირვებს ზედა-მხედველის ესრეთი გაბედულობა და ბაასი იმ ადგილზედ, რომელიც შეადგენს სასწავლებელის კუთვნილებას; მე მიკვირს რომ ზედა-მხედველს სასწავლებელის მამა-პაპით კუთვნილი ადგილი თითონ შეუსყიდნია და ისევ სასწავლებელს ასყიდებს; მე მიკვირს ზედა-მხედველის მოქმედება, რომელიც უნდა იყოს სასწავლებელის ინტერესების დამცველი და ბედის ჩარხის აღმა მატრიალებელი და რომელსაც კი სასწავლებელის ადგილი შეუსყიდნია და, როგორც გვარწმუნებს ზედა-მხედველი, ნოტარიუსის წესითაც დაუმტკიცებია! მეხსიერება ჩემი, გაბედვით ვიტყვი, არ მატყუებს და კარგადაც მახსოვს ის დრო (1881 წ. როდესაც მე სასწავლებლის გამგეობის წევრი ვიყავ), როდესაც აღმოსავლეთის მხარეს მდებარე ოთახის თვისის ეზოთი ყიდვა დავაპირეთ და ცხრა თუმანი ბეით მივეცით პატრონს, ხოლო ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ცარიელ ადგილზედ ხმაც არ ამოგვიღია, რადგანაც სასწავლებელის კუთვნილებად ვრაცხდით. მეორე დასამტკიცებელ საბუთად, განაგრძო მ. შ., ჩემის ბაასისა და გასამტყუნებლად ზედა-მხედველისა, ვიტყვი შემდეგს: რომელს წელში, არ მახსოვს—ქალაქისაგან ამორჩეულს სახლების და ეზოების დამფასებელ კომისიას, რომელთ შორის ს. წოდების მხრივ დანიშნული ყოფილა მ. ხ—ევ, სასწავლებელის ჩრდილოეთის მხრივ ცარიელი ადგილი, რომელსაც ზედა-მხედველი სამღვდელოებას ასყიდებს ამ ჟამად, ს. სასწავლებელის კუთვნილებად დაუწერია, რომლის დასამტკიცებლად ხსენებულს ხ—ს ეკითხოს. «კრებამ დიდის სიამოვნებით მიიღო საუბარი მ. შ—ისა, გადუხადა მადლობა და მოიწვია მ. ხ—ევი სადაო ადგილის გარემოების შესატყობად. გამოცხადდა ხ. და კრების მიერ კითხვის შემდეგ დაამტკიცა სინამდვილე მ. შ. ბაასისა, და სხვათა შორის დაურთო: «რადგანაც ჩემს დეპუტატობის დროს ქალაქმა ჩრდილოეთის მხრივ ცარიელი ადგილი სასწავლებელის სასარგებლოდ დასტოვა, მივიღე მე მადლობა და სამსახურის სიაშიაც მიწერია, და თუ ამასაც არ დაიჯერებთ, დღესაც მაზრის გამგეობაში იპოვით დოკუმენტებს, რომლითაცა დამტკიცდება ჩემი ნათქვამი. როგორ და ვისგან მოისყიდა ზედა-მხედველმა ჩრდილოეთის მხრივ ადგილი, ვის ეკუთვნის და როგორის დოკუმენტების ძალით,—კრებამ ამოირჩია კომისია ამ საქმის გასაგებად, რომლის წევრებად ამოარჩიეს მ. შ. და მასწავლებელი ი. ზ.

6) ზედა-მხედველის თხოვნა კრებასთანა 125 მ. დაქირავებულის რცხილაძის სახლების მისაცემად. ამ საგანშიაც ბევრი სიცრუე გამოაჩნდა ზედა-მხედველს.

7) აწინდელის კრების დეპუტატები დარჩნენ სამის წლის ვადით და ეთხოვოს საქართველოს ექსარხოსს გარდაწყვეტილობა ესე დაამტკიცოს.

8) კრებამ გადასწყვიტა დაინიშნოს კომისია, რომელმაც უნდა მოიყვანოს ცნობაში, მღვდლებისაგან შეწირულის ფულის შემოსავალ-გასავალის დაწვრილებით ანგარიშის სინამდვილე 1871 წლიდამ დღევანდლამდე. ამ ახალი რევიზიის წევრებად სამღვდ. კრებამ ამოარჩია პატიოსანნი, მიუდგომელნი და მიუსყიდავნი პირნი: სიღნაღის მაზრიდამ: ჭრელაშვილი და ბონაშვილი, თელავის მაზრიდამ, ბარდიევი, შიუკოევი, მრეველოვი, და სასწავლებელის ინსპექტორი საძაგელოვი.

იმედია რომ 19 და 20 ნოემბრის რიცხვებში სამღვდელოთ კრების გარდაწყვეტილობას ექსარხოსი დაამტკიცებს, რომლის შემდეგ წახალისებული დეპუტატები მომეტებულის სიცოცხლით უმეტესს წარჩინების გზაზედ დააყენებენ თ. ს. სასწავლებელსა, და რაც ამ ჟამად ვერ შეიძლეს შემწეობის აღმოჩენა, სიღარიბისა გამო, მომავალში შეავსებენ ამ ნაკლსა.

ვინმე მღვდელი.

თელავი, 5 დეკემბერსა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

7 იანვარს.

პეტერბურგი. გუშინ ნათლიღების დღეს ზამთრის სასახლეში მოხდა უმაღლესი პარადი; ხელმწიფე-იმპერატორმა დაუარა ჯარებს, მასუკან მიბძანდა დიდს ეკლესიაში, ეკლესიიდამ—იორდანეზე დიდი მთავრების თანადასწრებითურთ.

ახლად დაარსებული პეტერბურგო-მოსკოვის ბანკი მალე დაიწყებს თავის მოქმედებას.

მადრიდი. მეფემ უარი სთქვა კორტესების დათხოვნაზე და პოზადა-გერერის სამინისტრო თანამდებობიდამ გადადგა. ეხლა მაგივრად უგიდურეს—ლიბერალურ პოზადის სამინისტროსი, რომელიც საფრანგეთს თანაუგრძნობდა, მეფემ მიანდო კაბინეტის შედგენა კონსერვატიული პარტიის მოთავეს კანოვასს, გერმანიის თანამგრძნობელს.

მოსკოვი. გაზეთები ამბობენ, რომ 40,000 მან. მოიგო ვაჭარმა მიასოედოვმა.

ნერჩინსკი. გუშინ კაბინეტის მადნებიდამ პეტერბურგისკენ გაატარეს 100 ფუთი ოქრო და ნერჩინსკის მადნებიდგან 50 ფუთი ვერცხლი. ნერჩინსკზე ირკუტსკისკენ გაიარა ფრანცუზმა—მოგზაურმა მარტენმა, რომელმაც უდაბნოების გამოკვლევის შემდეგ გამოიარა 2500 ვერსი მდინარე ლენიდამ ციმბირის მთებზე ამურისკენ. მოგზაურებს მრავალი წვალება და შიმშილი გამოუვლიათ. მარტენის თანამოგზაურები ავად-დამხდარიყვნენ. ერთი შეკუაზედაც შემღილიყო.

ლონდონი. ფრანცუზები აპირობდენ თურმე დაპყრობას კუნძულის ხაინანისას, რომელიც ჩინეთის ქვემევრდომია; მაგრამ ამ კუნძულზედ მოვიდენ ჩინეთის ჯარები კანტონიდამ და თან სამარი იარაღი და ტორპედები მოიტანეს.

ბოსტონი. ერთი ცეცხლის-გემი, რომელიც ბოსტონიდგან სავანებისკენ მიმავალობდა, ამერიკის ნაპირებთან დაიღუპა. 104 კაცი დაიღრჩო, 22 გადაურჩენიათ.

შტუტგარდი. მინისტრი გირსი დღეს ვენაში წავიდა.

პეტერბურგი. გაზეთს «Русскій Курьеръ»-ს გამოეცხადა მეორე გაფთხილება, რადგან კვლავინდებურად ცდილობს გაავრცელოს მავნე აზრები და საზოგადოდ ისეთს მიმართულებას ადგას, რომელიც მოსათმენი არ არის.

მოსკოვი. გუშინ ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე ლენტოვსკისა, რომელსაც აბრალებდენ ექვსი ოპერეტკის წარმოდგენას ავტორებისა და კომპოზიტორების ნება-დაურთველად. ლენტოვსკის გადაუწყვიტეს სამი თვით დატუსაღება, მაგრამ, როგორც ამბობენ, აპელიაცია გადააქვს.

მიუნხენი. წუხელის მიუნხენზედ გაიარა გირსმა. სტანციაზედ დახვდა ბავარიის მინისტრი და რუსეთის მისიის სეკრეტარი თ. ბარათოვი.

მადრიდი. ახალმა სამინისტრომ შეჰფიცა მეფესა და კონსტიტუციას ერთგულება; კორტესების სხდომა გადიდვა.

პეშტი. უმაღლესი მოსამართლის მაილატის მკვლელებს სპანგას, პიტელის და ბერეჩს უმაღლესმა სასამართლომ სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტა.

პარიჟი. ხარტუმში გაიგზავნა გენერალი გორდონი ხარტუმში მყოფ ევროპიელებისა და სუდანში დარჩენილ ეგვიპტის გარნიზონების დასაცველად.

## განცხადებანი

საპონი.

გლიცერინისა, ნუშისა, ვარდისა, კორბოლოვისა, ლატუშისა, ბრინჯისა და სხვა ბევრი ინგლისის მაღაზიაში. იქვე ოდეკალონი და სხვა ტუალეტის კუთვნილებანი 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (12—10)

მშვენიერი **ჩუჩუ-ჩუჩაი** ამ წლის ზოლოუმდის იყიდება რვა აბაზად.

ინგლისის მაღაზიაში.

ნუ მისცემთ 2 მან. 20 კაპ. ან 2 მან. 40 კაპ. ფუნტს ჩაიში სხვაგან.

იქვე იყიდება ხელოვნური ყვავილები მინის ხუფებით, ლამპა, ქუდები, დრატვა, ტრიკო და სხვა მრავალი საქონელი ნახევარ ფასად.

(18—12)

**რკინაზედ ფასების დაკლების გამო**, ყოველ გვარი რკინის კრაოტები 10% ნაკლებ ისყიდება. **ინგლისის მაღაზიაში** უამისოდაც 25% ნაკლებ ვყიდდით სანამ სხვა სავაჭრო სახლებში ჩვენვე მივიღეთ დიდ-ძალი უპირველესი სორტის **ჩუჩუ-ჩუ ჩაი**, 1-ლი მოკრეფისა. ზირე. 2 მ. წმინდა ჩაი, უქაღალდოთ. ამ ჩაისა სხვა მაღაზიებში ყოველგან ისყიდება 3-მის მანეთიდგან 4-ს მანეთამდინ. რადგანაც ტანისამოსის ვაჭრობას ვსპობთ—ქალების დოლმანები და სხვა ტანისამოსები ისყიდება 20% ნაკლებ. (10—4)

თეატრის განცხადება.

დანიშნული წარმოსადგენად

## წამება ქეთევან დედოფლისა

(ისტორიული დრამა)

გადაიდება, რადგანაც სასულიერო მთავრობისაგან აღკრძალულ იქმნა.

ამის მაგიერ წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

წარმოდგენის დღე ცალკე აფიშებში იქნება გამოცხადებული.

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოები, რიუმკები გრაფინკები, საქაშური, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები. სარძეები, სამარილეები, გარჩიის საფსკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, ითოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიან ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, აკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიაში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—40)

რადგან ვსპობთ ვაჭრობას სასმელებით და სხვათა საქონლით, ამისათვის არა ჩვეულებრივის სიიაფით ვყიდით: კანიაკს, პორტვეინს, ხერესს, შამპანიის ღვინოს და სიგარებს ლონდონის მაღაზიაში კამერციულ ბანკის ქვეშ. (10—10)

ი ნ გ ლ ი ს ი ს   მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—80)



## მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქრის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხ.

## თბილისის თამბაქოს ფაბრიკანტის ნიკოლოზ ბოზარჯიანცისაგან განცხადება.




რადგანაც ზოგიერთა ფაბრიკანტები აკეთებენ ყალბს სახვევებს, რომელნიც მიემსგავსებიან ჩემ-მიერ გაკეთებულს სახვევებს, ამიტომ თანხმად ჩემის განცხადებისა 24-ს სეკტემბრიდამ 1883 წ. ამასთანავე ვგზავნი ჩემგან მიღებულს ნიშანს 10 შტუკიანი პაპიროსების გასახვევად. ყველა ნაირი თამბაქო და პაპიროზები ჩემის ფაბრიკისა გამოვლენ ამავე ნიშნით.

ვატყობინებ რა საზოგადოებას, უფრო ჩემს მუშტრებს, ვსთხოვ ყიდვის დროს მიაქციონ ყურადღება ნათქვამ ნიშანს პაპიროზებზე. (11—3)




საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეორეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მენატური, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრასები, ფილტრები, შროტკებისათვის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშქი—20 (100—14)

Довз. цензур. Тифлисъ, 9 Января 1884 г. ქქ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.